ეშმაკის ჯაჭვები

ფასი 50 მ.

№ 45

1920 წ.
ოქტომბრის 17

კარლო კაუცკი.

181

993.m.

კარლო კაუცკი საქართველოში

ბათომიდან თბილისისკენ

„ტრია“ და დავითი რომ ჩაბრძანდენ ავტომობილში და უკანა ადგილები დაიჭირეს, შემდეგ კაუცკი და მისი მეუღლეც დასხდენ წინა ადგილებზე და ავტომობილი დაიძრა რკინის გზის სადგურისკენ.

გზაში მათ შეხვდენ საქართველოდან ევროპაში დასაბრუნებლათ გამგზავრებული დელეგატები.

როდესაც ავტომობილმა გვერდით ჩაუქროლა დელეგატებს, ტომ შოუმ ძლივს მოასწრო და კაუცკის რაღაცა ბარათი გადასცა.

სადგურის ბაქანზე კაუცკიმ გაშალა შოუს ბარათი და წაიკითხა:

— **ერიდე**: ღამით მგზავრობას, კოპალს და მინ...

უკანასკნელი სიტყვის დამთავრება სიჩქარის გამო, ვერ მოესწრო შოუს. რას ნიშნავდა ეს დაუმთავრებელი „მინ“...:—მინისტრებს, მინადორას, თუ სხვა ვისმე კიდევ,—საიდუმლოებათ დარჩა კაუცკისათვის.

— აი, თქვენი მატარებელი: ჩაბრძანდით!— უთხრა ტრიამ კაუცკის.

— როგორ თუ ჩემი? მარტო ჩემი?— გაკვირვებით შეეკითხა კაუცკი.

— დიახ,—უპასუხა ტრიამ.

— ამდენი ვაგონები და მარტო ჩემი? მერე როგორ უნდა დავნაწილდე ამ 15 ვაგონში.

— კაუცკის სახეზე შეწუხება დაეტყო. უცებ მიტრიალდა და ორთქლმავალისკენ წავიდა ჩქარი ნაბიჯით.

— ამხანაგო მემანქანე!—მიმართა მან მემანქანეს, ორთქლმავალთან რომ მივიდა: დიდ პოლიშს ვიხდი, რომ ხელს გიშლი, ძაგრამ, ღვთის გულისათვის, მოასწავინეთ ეს ვაგონები... მე და ჩემი მეუღლე თქვენთანაც კარგათ მოვეწყობით... გთხოვთ, ამხანაგო...

მაგრამ „ტრიამ“ აღარ დააცალა, აიყვანა ხელში და ვაგონში ჩასვა.

ნატანების სადგურზე კარგა ხანს მოუხდათ შეჩერება. აქ კაუცკის მატარებელს კიდევ ორი სალონ—ვაგონი მოაბეს. ამ ვაგონებიდან გოჭების ჩუყვირილი, ქათმების კაკანი და ბატკნის ბღავილი მოისმოდა.

— ეს რაღა ვაგონებია?—იკითხა კაუცკიმ.

— ერთი ეშმაკისა გახლავთ, მეორე კი თაგუნასი... თბილისში მოდიან,—აუხსნეს მას.

— კარგი, მაგრამ რას ნიშნავს ეს საოცარი ხმები?

— სურსათ-სანოვაგე მიაქვთ საზამთროთ თბილისში და ცოლშვილი მოჰყავთ თან.

კაუცკი იძულებული გახდა დაკმაყოფილიყო ამ განმარტებას.,.

სადგურ სუფსაზე მოუბეს „შექანჯალებულის“ ვაგონი, ნიგოითში,—„d“-ს, ლანჩხუთში—მორიელის, საჯავახოში—ბუტუნასი...

— განა ძვირად არ უჯდება სახელმწიფოს ეს ცალკე ვაგონები?—ვეღარ მოითმინა და იკითხა ბოლოს კაუცკიმ.

— ძალიან ძვირათ უჯდება, მაგრამ ამ „ეშმაკის მათრახის“ თანამშრომლებზე არაფერი მოქმედობს თითო მათგანს თითო სალონ-ვაგონი აქვს. ჩვეულებრივ სამგზავრო ვაგონში ფეხსაც არ შეადგამენ. ხალხიც აღშფოთებულია მაგათი საქციელით, მაგრამ ვერაფერს გავხდით.—აუხსნეს კაუცკის საქმის ვითარება.

— ეს სწორედ საოცრება ყოფილა!—განცვიფრდა კაუცკი.

— თქვენ წარმოიდგინეთ, არც ერთი მინისტრი, არც მინისტრის ამხანაგი, არც რომელიმე დიდი მოხელე, არც გვარდიის დაწესებულებანი არ იკადრებს იმას, რასაც ესენი კადრულობენ. ყველანი ერიდებიან ცალკე ვაგონით მგზავრობას, რაო და სახელმწიფოს მეტი ხარჯი, არ მოუვიდეს და ხალხში უკმაყოფილობა არ გამოიწვიოსო. ჩვენს დემოკრატობაში ეკვი არავინ შეეტანოსო... ესენი კი...

— საკვირველია! სწორეთ საკვირველია!— იძახოდა კაუცკი.

სადგურ სამტრედიაშიც კაი ხანს იცადეს. აქ გრ. სდუჩაინის სალონ-ვაგონი იყო მოსაბმელი.

როგორც იყო მორჩენ და სადგურზე მესამე ზარი დაირეკა. ორთქლმავალმა იკივლა, დასჭიმა ძარღვები და გახშირებული, ქშენა დაიწყო, მაგრამ მატარებელი ვერას გზით ვერ დასძრა ადგილიდან...

თაგუნა.

(შემდეგი იქნება).

მირს ნილაბი!

საქართველოს დემოკრატიას.

ამხანაგებო! თქვენ ალბათ განცვიფრებული და შეიძლება აღშფოთებულიც ხართ იმ სასტიკი ბრძოლით, რომელსაც ლენინის ადგილობრივი აგენტები, ცნობილი რევკო სოვნარხოზაშვილის მეთაურობით, ქართულ „კომუნისტში“ აწარმოებენ კარლო კაუცკის წინააღმდეგ.

ნეტავ რა ჩაიდინა ამ მოხუცმა ისეთი სიშინელი, რომ ეს უწყინარი პარტია, რომელიც ერთთავად უმანკო მტრედებისა და კრავებისაგან შესდგება, ასე გამოიყვანა მოთმინებიდან?—ჰფიქრობთ ალბათ თქვენ, როცა „კომუნისტის“ წერილებს კითხულობთ.

უნდა გამოგიტყდეთ, რომ დღემდე ჩვენც ვერ გაგვეგო მიზეზი კაუცკის დევნისა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ის საქართველოში უნიღაბოთ მოგვევლინა აშკარა შეიქმნა, რომ ეს ულმობელი ბრძოლა და გაუნელებელი ლანძღვა-გინება არა თუ უსაფუძვლო და დაუმსახურებელი არ არის, არამედ დამყარებულია ყოვლად შეურყეველ ფაქტებზე და ისეთ საზარელ საქმეებზე, რომლის მსგავსი ჯერ ისტორიას არ ახსოვს

საკმაოა მხოლოდ ერთხელ დანახვა კაუცკისა, მისი საშიშარი სახის გამომეტყველებისა და შმაგი მიხვრა-მოხვრისა, რომ კაცი შიშის ჟრუანტელმა აიტანოს.

როდესაც კაუცკი ქუჩაში გამოდის, ახლო-მახლო უბნები უდაბნოთ იქცევა ხოლმე; თავზარდაცემული ქალები, ბავშვები და ყველა ქუჩად მავალნი ეზოებში და სახლებში იმალებიან, ასე გგონია, სახლებიც კი ერთმანეთს ეკვრიან შიშისაგან და კანკალებენო, მზეც ღრუბელს ეფარება და ქარსაც სუნთქვა უჩერდება. მხოლოდ ჩვენი შეუდრეკელი და მოვალეობისთვის თავდადებული მილიციონერები სდგანან ურყევათ თავიანთ პოსტებზე, და მზად არიან მსხვერპლად შეეწირონ ქალაქისა და მოქალაქეების კეთილდღეობას.

საშიშარია, როდესაც კაუცკი ქვეითად დასეირნობს თბილისის ქუჩებში, მაგრამ ასგზის უფრო საზარელია, როცა ის ავტომობილით მოევლინება ქალაქს. მის ავტომობილს ბავშვიც კი იცნობს: შუბლზე ექვს სხივიანი წითელი ვარსკვლავი ახატია და უკან ხუთი სლავიანური ასოა ზის.

მისი გიჟური სრბოლისგან მთელი ქალაქი ძრწის და ჰკანკალებს: ტრამვაის ვაგონები ლიანდაგს სტოვებენ და მაღაზიებში თუ ღელეებში აფარებენ თავს, დამფრთხალი ცხენები ბინებში უვარდებიან მდგმურებს, ხოლო-თავგანწირული მილიციონერები ველარ უძლებენ ამ საშინელებას და ღვინის სარდაფებში ჩადიან სულის მოსაბრუნებლად.

ასეთია კარლო კაუცკი.

მაგრამ მარტო ამით არ არის გამოწვეული ის დაუნდობელი დევნა, რომელსაც მის წინააღმდეგ კომუნისტები აწარმოებენ.

კაუცკის სავსებით დასახასიათებლად საჭიროა ქართველ დემოკრატიის წინაშე დასურათხატებულ იქმნას მთელი ისტორია მისი თავზარდამცემი მოღვაწეობისა.

კარგათ გვესმის, რომ ამ საკითხის სავსებით ამოწურვა ჩვენს სუსტ ძალღონეს აღემატება, მაგრამ იმ შემთხვევაშიც კმაყოფილი ვიქნებით, უკეთუ მკითხველი ოდნავ მაინც გაითვალისწინებს იმ საზარელ საფრთხეს, რომელსაც კაუცკის მოღვაწეობა უმზადებს საერთოდ კაცობრიობას და კერძოდ საქართველოს დემოკრატიას.

საერთო გზა სოციალიზმისაკენ.

ისინი დიდხანს ხელი-ხელ ჩაკიდებულნი მიდიოდენ ნარ-ეკლით მოფენილი გზით სოციალიზმის სამეფოსაკენ.

უცებ კაუცკი მოწყვეტით შესდგა, საჭურველი მოიშინჯა და აღგზნებული თვალებით მიაჩერდა რაღაცას სივრცეში. ირგვლივ გამეფებულ სიჩუმეს კაუცკის გახშირებული სუნთქვა არღვევდა.

— ამხანაგებო! ჰხედავთ? ერთი ძლიერი დაკვრა, ერთი მოხერხებული ნახტომი და ჩვენ სოციალიზმის ქვეყანაში ვიქნებით,—წარმოსთქვა მან ნაჭერ-ნაჭერ მეტის მეტი მღელვარებისაგან.

ლენინმა და ტროცკიმ შეშინებული თვალები მიაპყრეს გაშმაგებულ მოხუცს და მამა-შვილური ალერსითა და დარიგებით სცადეს მისი დაწყნარება.

— დამშვიდდი, ამხანაგო! რასაც შენ ჰხედავ, ის სოციალაზმი არ არის. ღმერთმა ჰქმნას, ჩვენი შვილები და შვილიშვილები მოესწრენ სოციალიზმის სამეფოს! ჯერ კიდევ დიდი გზა გვაქვს სავალი .. ვიაროთ!

განშორება

კაუცკი შეკრთა, თითქო საკუთარ ყურთასმენას არ უჯერისო. გაკვირვებით შეჰხედა მათ და უთხრა:

— გაფრთხილდით, მეგობრებო! მგონი, ჩემი დიდი ხნის ეჭვი მართლდება და წვრილ-ბურჟუა-

ზიული ლიბრი თვალთა ხედვას გიბნელებს თქვენ. წინ, თუ კიდევ შეგრჩენიათ ოდნავი ერთგულება სოციალიზმისა! აბა, გადავხტეთ!

— შენ სცდები, ამხანაგო. მანდ უფსკრულია. თუ გადავხტით, დავიღუპებით! დაიმშვიდე გრძნობები და ერთად ვიაროთ ნაცადი გზით. ეს გზა არის გზა დემოკრატიზმით სოციალიზმისაკენ!

კაუცკი აენთო: სახეზე ალმური მოედო, თვალთაგან ნაპერწკლები გაჰყარა.

— მოღალატენო! სოციალ-გამცემლებო!—დასჭექა მან მრისხანე ხმით:—ფიქრი დემოკრატიზმისათვის მაშინ, როდესაც სოციალიზმი ჩვენ ხელთ არის! ეს ხომ გაყიდვაა პროლეტარიატისა! იარეთ როგორც გსურდეთ! მე კი ჩემი გზა მაქვს.

— შენი გზა საბედისწეროა! საქმეს დაღუპავ... ხალხი არ გამოგყვება.

— ხა-ხა-ხა-ხა!—დემონიურათ გადიხარხარა კაუცკიმ: ხალხი არ გამოგყვებაო?! ვინ არის ხალხი? ხალხი ძალას ემორჩილება... არ გამომყვება და—ძალით წავათრევ! სისხლის ზღვით მოვრწყავ ქვეყანას, ქვას-ქვაზე არ დავტოვებ და ვნახოთ, როგორ არ წამომყვება?!. უკანასკნელად გეკითხებით: გინდათ თუ არა ჩემთან წამოსვლა.

კაუცკის სიტყვები ლახვარივით მოხვდა ლენინისა და ტროცკის სათნოიანსა და უმანკო გულს.

— სისხლიო?!.—განუსაზღვრელის შიშით წამოიძახა ლენინმა.

— სისხლიო?!—ზიზღით გაიმეორა ტროცკიმ.

— ჩვენ გვძაგს სისხლის ღვრა! ღმერთმა ნუ მოგვასწროს თუნდ ერთი წვეთი სისხლის დანახვა! სისხლის მღვრელთან სიარული ჩვენ არ შეგვიძლიან! არა, გზა-დაბნეულო ამხანაგო! ჩვენ შენთან ვერ წამოვალთ!—დასძინეს ორთავემ ერთად.

ზავი, პური და მიწა



კაუცკიმ საბოლოოთ აირჩია გზა დიქტატურისა.

— შეიარაღებული ძალა! აი რით შეიძლება ქვეყანათ სოციალიზმის დამყარება! მრისხანეთ დასძახა დიქტატორმა და გაეშურა ფრონტისკენ, სადაც ოთხი წლის ომით დაქანცული ჯარისკაცი სასოწარკვეთილებას იყო მიცემული.

— ამხანაგებო!—მიმართა მან ჯარს,—ვისთვის ღვრით თქვენს უმანკო სისხლს? ნუ თუ არ იცით, რომ ეს არის ომი იმპერიალისტური და არა სამოქალაქო. ძირს იმპერიალისტური ომი, გაუმარჯოს ომს სამოქალაქოს! მუსრი ოფიცრობას! მუსრი ბურჟუაზიას! მუსრი კაპიტალიზმს! მუსრი კონტრრევოლიუციას. მე ვაცხადებ სოციალიზმს დამყარებულათ! თქვენ კი სოციალიზმის დარაჯნო მიიღებთ ზავს, პურსა და მიწას!

სოციალისტური ლაშქარი ფრონტიდან დაიძრა. მთელი ქვეყანა კიდით-კიდემდე შეინძრა, სისხლით შეიღება.

— ღმერთო მაღალო! დაღუპავს ქვეყანას, დაღუპავს კულტურას, დაღუპავს თვით სოციალიზმის იდეას, და მდუღარე ცრემლით ინამებოდა.

ტერორი მარჯვნივ—ტერორი მარცხნივ.

რაც დრო გადიოდა კარლო კაუცკი თანდათანობით აღრმავებდა რევოლიუციას.

— ტერორი მარცხნივ! ტერორი მარჯვნივ! გადაისროლა მან დღიურ ლოზუნგათ აბობოქრებულ მასსაში, და დაიწყო ბართლომეს თვეები მთელს სოციალისტურ ქვეყნებში.

თავით ფეხამდე აღჭურვილი კაუცკი საკუთარის მაგალითით ამხნევებდა თავის სოციალისტურ ლაშქარს და მუსრავდა ყველას მარჯვნივ, თუ მარცხნივ.

გასძარცვე ნაძარცვი! (Грабь награбленное)



სათნო და მოსიყვარულე გული ლენინ-ტროცკისა გამოუთქმელ ტკივილებს გრძნობდა კაუცკის საქმეთა შემხედვარე. მათმა მწუხარებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია, როცა კაუცკიმ ახალი ლოზუნგი გადაისროლა სოციალისტურ მასსაში. აი ეს ლოზუნგი:

— ამხანაგებო! სძარცვეთ მძარცველები! Грабь награбленное!

და როგორც მოწინავე მებრძოლთა შორის, თვით კაუცკი, ნაჯახით ხელში, ეკვეთა ბურჟუაზიას დასამხობათ და გასაძარცვავათ.

ძმა ძმაზე.

დიდსა და პატარა ქალაქებში სოციალიზმი უკვე დამყარდა: მუშათა უბნები ბურჟუაზიულში გადასახლდა, ბურჟუაზიული მუშათა განაპირა უბნებში. დარჩა მხოლოდ სოფელი. სამოქალაქო ომის მზეს ჯერ იქ არ შეუნათებია. გლეხკაცობა, როგორც სფინქსი ეგვიპტისა, უძრავათ სდგას.

დიდ ხანს ასეთი მდგომარეობის მოთმენა შეუძლებელი იყო და აი კაუცკიმაც თავის დღიურ წესრიგში უპირველეს საკითხათ გლეხთა შორის სამოქალაქო ომის გაჩაღება დასვა.

თავისი განზრახვის სისრულეში მოსაყვანათ მან დარაზმა ღატაკი ნაწილი სოფლის გლეხკაცობისა და მიუსია თავის მოძმეებს.

ბრძოლა კაპიტალიზმთან.

— ამხანაგებო! სოციალიზმი აღმოცენდება მხოლოდ და მხოლოდ კაპიტალიზმის ნანგრევებზე. ჩვენი სალმთო ვალია ჯერ აღმოვფხვრათ ძირიან ფესვიანათ ყოველივე ნასახი კაპიტალიზმისა და მის ნანგრევებზე აღვმართოთ დიდებული სასახლე სოციალიზმისა.

ასე განაცხადა კაუცკიმ ერთ მრავალრიცხოვან მიტინგზე. ლენინის მომხრეები შეეკამათენ მას:

— სცდებით ამხანაგებო! სოციალიზმი უნდა დაეუფლოს კაპიტალიზმის მიერ შექმნილ სიმდიდრეს და განავითაროს, თა....

მას არ აცალეს სიტყვის დამთავრება, სტაცეს ხელი და სატუსაღოში უკრეს თავი.

კაუცკი კი ენერგიულათ შეუდგა კაპიტალიზმის აღმოფხვრას. მან ააფეთქა ყველა ფაბრიკა ქარხნები, ყველა სახელოსნოები და საწყობები. დასტოვა მხოლოდ ისინი, რომლებშიაც თოფ-იარაღსა და ყუმბარებს ამზადებდენ.

ძირს ტრანსპორტი.

ყველაფერი თითქმის ნორმალურ პირობებში ჩადგა: სამოქალაქო ომი უმწვერვალესობამდე განვითარდა; ტეროორი ძილშიაც მოსვენებას არავის აძლევდა; ბურჟუაზია გაიძარცვა; კაპიტალიზმის ნაშენი დაინგრა. დარჩა მხოლოდ ტრანსპორტი.

და აი კაუცკის დაუღალავი ენერგია აქაც შეუდგა საქმეს. რკინის გზები, სადგურები, ხიდები, მატარებლები და ორთქლმავლები ერთიანად შემუსრულ იქმნა, რითაც ტრანსპორტის მწვავე საკითხი საბოლოოთ გადაიჭრა.

მუსრი კონტრ-რევოლიუციონერებს!

რევოლიუციის გაღრმავება ისეთი სწრაფი ნაბიჯით წავიდა წინ, რომ თითქმის ბურჟუაზიული ცხოვრება სახელმწიფოსი პირველყოფილ კომუნიზმის დონეზე დავიდა.

მოხდა დიდი გადასახლება: ხალხი ქალაქიდან სოფლებში გაიკრიბა, სოფლიდან კი უღრან ტყეებში.

ბურჟუაზია, დემოკრატია და პროლეტარიატი ერთმანეთში აითქვიფა, ერთ კლასათ ჩამოყალიბდა და ერთნაირათ გადაეჩვია: ჭამა-სმას; ჩაცმა-დახურვას და შრომას.

თავისუფალი მოქალაქე სოციალისტური სამშობლოისა რასაკვირველია თავისი ნებით არ იმუშავებდა და დიქტატორი კარლო კაუცკი იძულებული გახდა თითო მუშისათვის თითო წითელ არმიელი მიეყენებია მცველად.

— ჩვენი გონივრული და მეგობრული რჩევის უარყოფა ძვირათ დაუჯდა ჯიუტ კაუცკის— სწერდა ერთ-ერთ არა ლეგალურ ფურცელში ლენინი.—ნაცვლად სოციალიზმისა მან დაამყარა უსასიზღრესი ყაზარმული რეჟიმი.

კაუცკი კი კვლავ მძვინვარებდა. მან ლენინი და მისი მიმდევრები კონტრ-რევოლიუციონერებათ გამოაცხადა. დაიბარა მრავალ წლობით „ოხრანკაში“ ნამსახური ამხანაგები და უთხრა—მთელს დედა-მიწაზე ჩვენი სახელმწიფო ერთად-ერთი სოციალისტური სახელმწიფოა. სოციალიზმში შეუძლებელია აზრთა სხვადასხვაობა. დაბარსეთ „ჩრეზვიჩაიკა“ და დაიჭირეთ ყველა, ვინც ისე არა ფიქრობს, როგორც თქვენი სახელოვანი დიქტატორი. მუსრი კონტრ რევოლიუციას!

ბურჟუაზიული მიქარვა..



— ჩვენ გვშია! ჩვენ გვცივა! ჩვენ დასვენება გვჭირია!

მიმართეს ერთხელ კაუცკის ღონე მიხდილმა მუშებმა.—თუ პურს არ მოგვცემ, შრომის ქირას არ მოგვიმატებ და სამუშაო დროს არ შეგვიმცირებ ჩვენ გავიფიცებით: გაფიცვის თავისუფლება ჩვენ ბრძოლით გვაქვს მოპოებული.

— რაო!? დასჭექა კაუცკიმ.—რის თავისუფლება, რომელი თავისუფლება! განა არ იცით, რომ თავისუფლება ეს მხოლოდ ბურჟუაზიული მიქარვაა და სხვა არაფერი?!

კაუცკი გააფთრებით დაერია თავისუფლებათა პანთეონს და ერთი შეტევის შემდეგ სინდისის, კრების, გაფიცვის, რწმენის და სხვა მაგვარ თავისუფლებათაგან მხოლოდ მოგონება ღა დარჩა.

ხოლო როცა „ბურჟუაზიული მიქარვა“ შემუსრულ იქმნა კაუცკიმ გამართა როკვა განდგომილთა და ჩრეზვიჩაიკის დიპლიპიტოს ხმაზე თავგანწირულათ ჩააოუარა.

დამპალი დასავლეთი.

კაუცკის მიერ დამყარებულ სოციალიზმის ამბავმა მთელი ქვეყანა აალაპარაკა. მსოფლიო ბურჟუაზია შიშმა და მწუხარებამ შეიპყრო, მსოფლიო პროლეტარიატი კი—სიხარულმა.

— აი, ალთქმის ქვეყანა!—აღმოხდა გულის სიღრმიდან დასავლეთ ევროპის პროლეტარიატს: აი, მაგალითი ჩვენთვის! იმათგან უნდა ვისწავლოთ ჩვენ ახალი ქვეყნის შენება. ღაუყონებლივ უნდა გაიგზავნოს დელეგაცია, რომელიც საკუთარის თვალით იხილავს ქვეყნიურ სამოთხეს და დაბრუნების შემდეგ გზის მაჩვენებლად გამოგვადგება!

მუშათა დელეგაციამ ადგილობრივ ინახულა ერთად ერთი სოციალისტური ქვეყანა და წარსდგა კაუცკის წინაშე.

— ამხანაგო! მიმართა მან კაუცკის: ჩვენ სოციალიზმი სულ სხვა გვარათ გვქონდა წარმოდგენილი... ჩვენ გვეგონა, რომ სოციალისტურ ქვეყანაში ყველა თავისი ბედის მადლიერი იქნებოდა... ჩვენ ვფიქრობდით, აქ დაგვხვდებოდა სიტყვის, კრების, სინიდისის თავისუფლება, პიროვნების ხელშეუხებლობა... შენ კი მთელი ქვეყანა უზარმაზარ საპყრობილეთ და სასაფლაოთ გადაგიქცევია, ხალხი ყურმოჭრილ მონად გაგიხდია, თავისუფალი აზრი დაგიხრჩვია და ხიშტებზე წამოგიგია... ჩვენ ვგმობთ შენს ბარბაროსულ „სოციალიზმს!“ ძირს კაუცკი! გაუმარჯოს ლენინს და ტროცკის!

ამ სიტყვების გაგონებაზე კაუცკიმ ჯერ საზარლად გადიხარხარა, შემდეგ მისი სახე ბრაზმა და მრისხანებამ მოიცო. დაჭრილ მხეცივით მივარდა ის დელეგაციას და დასჭყივლა:

— შორს ჩემგან მოღალატეებო და გამყიდველებო! თქვენ ღირსი არა ხართ სოციალისტურ წყობილებისა! არ დამენახოთ! გასწით აქედან! წადით ბურჟუაზიულ საქართველოში! იქ არის თქვენი ადგილი! მე კი ვიშოვი ერთგულსა და საიმედო მოკავშირეს! გასწით!

Drang nach Osten!

სთქვა და შეასრულა.

მეორე დღესვე დაიბარა ამხანაგი კამო და უთხრა:

— შენ უნდა შეასრულო ერთი დიდი მონდობილობა: ანტანტის მოთხოვნით კონსტანტინოპოლის ციხეში ზის ამხანაგი ყურშუმ-ფაშა. მას ბრალდება 25000 ქრისტიანის ამოჟლეტა მცირე აზიაში და მექრთამეობა. დაუყოვნებლივ უნდა მოაწყო მისი ციხიდან გაპარების საქმე და აქ მომგვარო.

კამო წავიდა.

ორი კვირის შემდეგ ამხანაგი ყურშუმ-ფაშა კაუცკის კაბინეტში იყო. კაუცკი და ყურშუმ-ფაშა მაგიდას უსხდენ და მსოფლიო სოციალურ რევოლიუციის გეგმას აწყობდენ.

— ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ შეერთებულის ძალით,—ეუბნებოდა კაუცკი ყურშუმ-ფაშას: ჩვენს შეერთებას ხელს უშლიან საქართველო და სომხეთი, რომელნიც ჩვენსა და თქვენ შორის ჩაჩხირულან. უპირველეს ყოვლისა უნდა ამოვჟლიტოთ ამ ქვეყნების ხალხი, შემდეგ შეერთებულის ძალით ავსწიოთ აღმოსავლეთისაკენ!

შახსეი-ვახსეი!

დასავლეთ ევროპის შესარცხვენათ და გასაბახებლათ ყურშუმ-ფაშის წინადადებით კ. კაუცკიმ მოიწვია აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობა.

ყრილობის დამთავრების შემდეგ გაიმართა გრანდიოზული აღმოსავლეთური ლიტანია „შახსეი-ვახსეი“.

კ. კაუცკი სტკბებოდა დიდებული სანახაობით. ამ რაინდულმა ჩვეულებამ ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა დიქტატორ კაუცკიზე, რომ საგანგებო დეკრეტის ძალით „შახსეი-ვახსეი“ საერთაშორისო სოციალისტურ ლიტანიათ იქმნა აღიარებული.

უმანკო მსხვერპლნი.

იმ საშინელმა და სამწუხარო ამბებმა, რომლის მოწამეც კაუცკის მეოხებით ლენინი და ტროცკი გახდნენ, ეს ორი მოციქული სათნოებისა და სიყვარულისა მძიმე საგონებელში ჩააგდო.

— რაღაა ჩვენი სიცოცხლე?—ეუბნებოდა ლენინი ტროცკის: მთელი აღმოსავლეთის სოციალისტური პროლეტარიატი საბოლოოთ მოჰხიბლა კაუცკიმ. მხოლოდ ევროპისა და ამერიკის მუშა ხალხი დარჩა ჩვენი ერთგული! ასეთ ყოფას სიკვდილი სჯობია! მხოლოდ ცხელი ტყვია გვიხსნის ამ სატანჯველისაგან!

ტყვიის ხსენებაზე ტროცკის გული შეუწუხდა და დიდხანს იყო გრძნობა-მიხდილი.

— ეგ რა სთქვი, ამხანაგო?—ძლივს წარმოსთქვა მან, როცა გონს მოვიდა:—ტყვია... სიკვდილი! ოჰ, ღმერთო ჩემო!.. ნუთუ სხვა გზა არ არის? განა არ შეიძლება, რომ თვალები აეხილოს და დაუბრუნდეს ძველს, ნაცად გზას? ნუ ავჩქარდებით, მოვიცადოთ!

გვიოგვინი და მონასტერი.



არ გამართლდა ტროცკის მოლოდინი.

კაუცკი არა თუ დაუბრუნდა ძველ გზას, არამედ ისე შორს წავიდა მარცხნით, რომ უკვე უკიდურეს მარჯვენა მხარეზე ამოჰყო თავი.

მან განაცხადა:

— ეხლა ყველასათვის აშკარაა, რომ კოლექტიური მართვა-გამგეობა პროლეტარიატის მტრებისაგან არის მოგონილი. სოციალისტურ ქვეყანას უნდა განაგებდეს ერთი პიროვნება, რომელსაც უნდა ამოძრავებდეს ხალხის სიყვარული და მისი ინტერესების შეგნება. ეს ერთი პიროვნება ვარ მე და მხოლოდ მე უნდა მმორჩილებდეს ჩემი ქვეყანა.

კაუცკიმ თავს გვირგვინი დაიდგა და სამეფო ტახტზე დაბრძანდა.

ამ საზარელი სანახაობით გულ-მოკლულნი ლენინი და ტროცკი საბოლოოთ გამოეთხოვენ ამ ქვეყნიურ ამაოებით სავსე ცხოვრებას, ბერ-მონოზნებათ აღიკვეთენ და მონასტრის მყუდრო კედლებს შეაფარეს თავი.

— ყოვლად წმინდაო სასწაულთ-მოქმედო ნიკოლოზ მირლიკიელო!—აღავლენდნენ ისინი მხურვალე ლოცვას: შეუნდე კაუცკის შეცოდებანი მისნი, რამეთუ არა უწყის, რასა იქმს!

დასკვნა ნაამბობისა

ჩვენ გავათავეთ.

თქვენს წინაშე ყურსასმენად და თვალსაჩინოდ გადავშალეთ კარლო კაუცკის მთელი დანაშაულობანი საერთაშორისო პროლეტარიატის წინაშე.

სახელდობრ:

კარლო კაუცკიმ უარყო ძველი, ნაცადი გზით სიარული სოციალიზმისაკენ.

კარლო კაუცკიმ გამოიწვია განხეთქილება მუშათა შორის.

მანვე უარყო გზა დემოკრატიზმისა და ირჩია დიქტატურა უმცირესობისა უმრავლესობაზე.

კაუცკიმ გაამეფა კიდით კიდემდე საშიშარი, დაუზოგველი ტეროორი.

კარლო კაუცკიმ დაანგრია ყველაფერი, რაც წინა თაობას აუშენებია.

მისი მეოხებით მძვინვარებს და ანადგურებს ქვეყანას დაუსრულებელი სამოქალაქო ომი.

მან აამხედრა უკულტურო ფანატიზმი აღმოსავლეთისა დასავლეთის კულტურის წინააღმდეგ.

მან გაამეფა საშიშარი ინკვიზიცია „ჩერეზვიჩაიკებისა".

კაუცკიმ შემოიღო მუშათათვის კატორღული წესები მუშაობისა.

მანვე მოსპო ყოველგვარი თავისუფლებანი

მასვე მიჰყავს ქვეყანა სამეფო ტახტის აღდგენისაკენ.

კმარა ამხანაგებო! ყოველივე ამის შემდეგ თქვენთვის აშკარა უნდა გახდეს მიზეზი იმ ღვარძლიანი კამათისა და ლანძღვა გინებისა, რომელსაც ლენინის აღგილობრივი აგენტები კაუცკის წინააღმდეგ აწარმოებენ.

დასასრულ არ დავფარავთ. ვიტყვით, რომ ჩვენც ადამიანის შვილები ვართ. შეუცდომელ რომის პაპად თავი არ მიგვაჩნია. მოგახსენებთ ჩვენს საკუთარ აზრს, მაგრამ ვინ იცის, შეიძლება ჩვენ ვსცდებოდეთ. შეიძლება თქვენი შეხედულებით ყოველივე ის, რაც ჩვენ კარლო კაუცკის მივაწერეთ, სხვას უფრო შეეფერებოდეს. რატომაც არა! ყველაფერი შეიძლება და თუ ეს მართლა ასე დარჩა, მაშინ რასაკვირველია ჩვენებური კომუნისტების ლანძღვა გინებაც სხვა აღრესზე უნდა გაიგზავნოს.

დავშთებით თქვენი მოყვარულნი:

ეშმაკი და თაგუნა



შექანჯალებულის ლექსები

ვაშა! ვაშა! ტაში! ტაში!
დავსცხოთ ტაში, ძმავ, სარგისა!..
ბიჭო აგი რა მოგვესწრო—
— ხილვა კარლო კაუცკისა...
აბა, ჩვენ ვინ არ გვეწვია—
— სწამდათ მარტო თვისი ქისა,
ახალ სტუმრებს სხვა აზრი აქვთ—
— ვაშა, მხცოვან კაუცკისა.
აბა, მაჭრით ავაზვირთოდ
დიდი ყანწი ჯიხვის რქისა,
და გადავკრათ სადღეგრძელო
ჩვენი კარლო კაუცკისა...
დავითვერი... მიხარია,
თუმცა თავში არ მაქვს „ისა“,
მიხარია, როცა ვხედავ
დიდს მოწაფეს კარლ მარქსისა.
თურმე მარქსმა რაც იქ სთესა,
ხალხი უფრო დღეს აქ მკისა,
თუ არ გჯერათ, აბა ჰკითხეთ
ჩვენს ჭაღარა კაუცკისა.
მიხარია, ვლხინობ, ვმღერი:
ოდელია, აბა დელი...
გიუჯსმანსი, დე ბრუკერი,
ინგელსი და რენოდელი,
ტომას შოუ, სნოუდენი,
ვანდერველდე ემილ... მარკე,—
— ყველა ვნახე: მშრომელ ხალხის
მოამაგე, სულის სარკე.
ვით კოპწია, მორთულ ქალწულს
უნდა ცქერა სწორ სარკისა,
ისე ხელებ დაკორჟებულს
მუშას—ხილვა კაუცკისა.
მე ავავსებ კვლავ ტკბილ მაჭრით
დიდს ყანწს, ქართულს, ჯიხვის რქისას,
და მივართმევ სადღეგრძელოს
ჩვენს მხსნელ, ჩვენს თეთრ გიორგისას.
თქვენც დალიეთ და უსურვეთ
გამარჯვება გიორგისა...
ბევრს გველეშაპს გადაახტა,
დღეს მასპინძლობს კაუცკისა.
დავითვერი... გამომესხა
ვგონებ რქები ეშმაკისა.
ულვინოთაც დამათრობდა
ხილვა კარლო კაუცკისა.
პურ-მარილით განთქმული ვართ,
(ცარიელი თუმც გვაქვს ქისა)...
მაჭარს, ყურძენს და ფელამუშს
არ მოვაკლებთ კაუცკისა.
დეე, მანაც შეისწავლოს
გემო ჩვენი ფელამუშის...
დეე, მანაც დაინახოს
გზა და კვალი ჩვენი მუშის.
ტაში, ტაში, ქუხდეს ტაში!
ვაშა კარლო კაუცკისა...
ვისაც სიბრძნით რამ უთესავს,
იმას კიდეც მოიმკისა...
მეორმოცეთ გამოვცალე
ყანწი დიდი, ჯიხვის რქისა...
გამიწითლდა ცხვირის წვერი...
მსგავსად ძვირფას ლალის ქვისა.
და ამიტყდა ძგერა ჭკვისა.

შექანჯალებული

...იხილე კაუცკი!

(კურული სცენა)

რა მოგვესრა აგი, რა ამბავია აგი ჩვენს თავზე... რავა გვესევა ცაი და ქვეყანა, მტერი და მოყვარე... ნეტაი, რა შევიქენით ამნაირი, რომ ქვეყანა ჩვენდა სანახავათ მოდის, სიზმარში რომ ვერ ვნახავდი, იმისანე ხალხი ვნახე... ვინ გინდა, რომ არ იყო ჩვენში: ერთხანს გვიტრიალეს იქიდან-აქედან: ხან თათრებმა, ხან ანგლიჩანებმა, ხან ბალშენიკებმა, ხან ადერბეჯანელებმა და ხან ჯანდაბელებმა... ჩვენი მოყვრები, ძმები და აფხანიკები ცოციალისტები ქე გვიყურებდენ შორიდან... მტრებმა რომ ვეფერი დაგვაკლეს და ყველას რომ გვარიანი ნიახური ვაჭამეთ, ცოტა დაგვანებეს თავი... გაგვიგეს აგი ჩვენმა მოყვრებმა და გუუკვირდენ; თქვეს თურმე:

— ბიჭო, რა ხალხი ყოფილა აგი ქართველები, წამოდი ერთი ვნახოთო...

— და აგია, ქე მევესწარი მაგენის ნახვასაც... მარა ყველაზე უფრო კაუცკის ნახვა რომ მეღირსა, აგია საქმე... ყველაფერს მივესწრებოდი მეგონა და კაუცკის ნახვა თუ მეღირსებოდა, აგი აღარ მეგონა... რაც დევიბადე და ცოტა ავი და კაი გევიგე მას მერე მესმის მისი სახელი... სულ თავიდან პროლეტარი ვიყავი და ქე ვცოციალისტობდი. პაწა წერა-კითხვა ქე ვიცოდი გვარიანათ, რაცხა ცოციალისტების ნაწერებსაც ქე ვკითხულობდი, ხან ჩუმათ— ღელეში და ხან ცხადათ, ჩემი თავი გავითარებულად მიმაჩთა... ოღონდ ერთი რამე მაწუხებდა: ერთი ჩემსავით გაფცქვნილი ცოციალისტი აფხანიკი მყავდა, ბეგლარე ეთქვა... დევიწყებდით ხშირათ კამათს კრებებზე იქნებოდა თუ კერძოთ... რავაც კი შეატყობდა რომ გავამტყუნებდი, მაშინათე მეტყოდა:

— შენ რა იცი, აფხანიკო, რა გესმის, აგი ასეა მე რომ ვამბობ კაუცკის წიგნებში სწერია, თუ არ გჯერა, აი, **იხილე კაუცკის** ესა და ეს ტომი. რავაც კი ჩუუდგებოდი კრიჭაში, მაშვინათე მეტყოდა:

— თუ არ გჯერა, კაუცკის ნაწერი, ესა და ეს ტომი წეიკითხე და გეიგებო.

ტომიც ამოგივარდა და გვარიც მეთქი, ვეტყოდი. ბიჭო, სად არის აგი წიგნები, რომ იძახი, რომ ვერ ვნახე მეთქი... ვეძებდი. ყველას ვეხვეწებოდი: მაჩვენეთ ერთი აგი წიგნები, ერთი გევიგო რას ამბობს კაუცკი, რომ არ მომცა საშველი მაგ ბიჭმა მეთქი. თურმე არ შეგჭამოს ჭირმა! ბოლოს გევიგე, არც მას არ ქონია აფერი წაკითხული, მე მაწონებდა თურმე თავს და აგი რა ვიცოდი... დავრჩი ასე... დავინტერესდი კაუცკის ნაწერებით და პაწაი რაცხა-რაცხები ქე წევიკითხე მისი ნაწერი. მარა მის ნახვას თუ მოვესრებოდი, ამას რავა ვიფიქრებდი... ამასაც მევესწარი. დევინახე კაუცკი და მაშინათე გამახსენდა ბეგლარე და მისი: „იხილე კაუცკი“... მართლაც ვიხილე ნამდვილი კაუცკი .. კაცის საქმე თურმე ჭკუა ყოფილა, თვარა ისე ჩვენს დიანოსას გავს, რომ შეხედო.

ლუკაიეს ობოლი



კ. კაუცკი

„ეშმაკის მათრახი“

თვეში ღირს 200 მან., ცალკე ნომერი 50 მან., გამოწერა შეიძლება სამი თვით.

ჟურნალში დაიბეჭდება აგრეთვე **განცხადებები.**

მისამართი: თფილისი, რუსთაველის პროსპექტი № 2

საქართველოს სახაზინო რკინის გზებ. სტამბა-ლიტოგრაფია